ვინც ისლამში გამორჩეულია სიკეთით, მას არ დაეკისრება პასუხი ჯაჰილიაში ჩადენილის გამო; ხოლო ვინც ისლამში ცუდად მოიქცევა, მას პასუხს მოსთხოვენ როგორც წარსულზე, ისე აწმყოზე

იბნ მას'უდმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ერთმა კაცმა ჰკითხა: "ო, ალლაჰის მოციქულო ვაგებთ პასუხს იმაზე, რაც ჯაჰილიაში (ისლამამდე) ჩავიდინეთ?" უპასუხა: „ვინც ისლამში გამორჩეულია სიკეთით, მას არ დაეკისრება პასუხი ჯაჰილიაში ჩადენილის გამო; ხოლო ვინც ისლამში ცუდად მოიქცევა, მას პასუხს მოსთხოვენ როგორც წარსულზე, ისე აწმყოზე".

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს ისლამში შესვლის ღირსებას. ასევე ის, ვინც მიიღებს ისლამს და სწორად დაიცავს მას, იყო გულწრფელი და მართალი ამაში, არ აგებს პასუხს იმ ცოდვებზე, რომლებიც მან უმეცრების დროს ჩაიდინა. ხოლო ვინც ისლამში ცუდად მოიქცევა, იქნება ფარისეველი ან გავა რწმენიდან, მას პასუხს მოსთხოვენ როგორც ქუფრში (ურწმუნოობაში) ჩადენილისთვის, ასევე ისლამის პერიოდში ჩადენილი ცოდვების გამოც.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65002

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee